



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 680

თბილისი

„24“ 05 2019წ.

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „ხელოვნებაში ექსპერიმენტული კონკურსების, საიუბილეო და საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N409 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „ხელოვნებაში ექსპერიმენტული კონკურსების, საიუბილეო და საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა“ გამარჯვებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის პირველი აპრილის N409 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის - „ხელოვნებაში ექსპერიმენტული კონკურსების, საიუბილეო და საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა“ ფარგლებში სამინისტროში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 08 აპრილის N456 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის 2019 წლის 10 მაისის N1 სხდომის ოქმისა და 2019 წლის 23 მაისის N2 სხდომის ოქმის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 23 მაისის N627534 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „ხელოვნებაში ექსპერიმენტული კონკურსების, საიუბილეო და საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განაცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N409 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „ხელოვნებაში ექსპერიმენტული კონკურსების, საიუბილეო და საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის დაწყების თარიღად განისაზღვროს არაუადრეს 2019 წლის 10 ივნისისა;

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2019 წლის 25 მაისისა;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).



მიხეილ ბატიაშვილი

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „ხელოვნებაში ექსპერიმენტული კონკურსების, საიუბილეო და საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 01 აპრილის N409 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „ხელოვნებაში ექსპერიმენტული კონკურსების, საიუბილეო და საფესტივალო ღონისძიებების ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტები

1. ა(ა)იპ - აქტივი კულტურისთვის - პროექტი „მდგომარეობათა შორის ფაზა II“;
2. ა(ა)იპ - ობსკურა - პროექტი - „ეკრანიზატორი - ობსკურას ფოტოგამშვები დანადგარი“;
3. ა(ა)იპ - სიზმარი - პროექტი - „სიზმარი“;
4. ა(ა)იპ - აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელოვნების და კულტურის საბჭო - პროექტი - „სივრცის ორგანიზება“;
5. ა(ა)იპ - თანამედროვე ხელოვნების ცენტრი - თბილისი - პროექტი - „ნიკალას მიმალვა“ (დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეის კოლექციის ინოვაციური წაკითხვა).